



# მთხეთი

1983  
სუთხაბათი  
4  
მარტი  
№9 (10600)  
შანი 5 მანეთი

საქართველოს  
კომუნისტური  
პარტიის ცენტრალური  
კომიტეტი

ზუგდიდის დაგოშაძეძევილი საზოგადოებრივ-კოლმეცურე გაზეთი

გაზეთი გამოდის 1980 წლის 1 მარტიდან

## მიწა გეძახის, გლეხკაცო!

მიიღია ეს მიწა, გულის გამაწყალებელი ზამთარი. კიდევ ცოტა ხანი და ჩვენს დამზარალ სანაჯ-სავარგულებს და ათასნაირი სიძნელით შეჭირვებულ გულებს გაზაფხულის სუნთქვა მოეღამუნება. დიდი და პატარა იმ შინაგანი, ბუნებრივი სურვილით არის დამუხტული, რასაც თვეობით ნახვენ, მონატრებულ მიწასთან გლენკაცის შეხვედრა ჰქვია. ბარო, თოხით, ცოცხით, ცულით სასხლავით გავა მეურნე კაცი მინდორში, ყანაში, ბაღში სამუშაოდ. მადლობა ღმერთს, ის დრო მაინც დაგვიდგა, რომ წინასწაგაფხულ სამუშაოებს ყბადღებულ ცეკას და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით არ ვიწყებთ. თუმცა იმას კი ელოდნენ სოფლის მშრომელები, რომ წლებადღელ სამეურნეო სეზონს მიწის პრივატიზაციის კანონით მაინც „გახსნიდნენ“ ამჟამინდელი ფაქტობრივი ხელი-სუფალნი. მაგრამ სამისო გონება და სახსარი რახან არ აღმოაჩნდათ, საკუთარ თავს ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთ.

ბევრი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ეს გაზაფხული იქნება უმძიმესი სოფლისათვის. დარბეულ-დატაცებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, კატასტროფული ტემპით ძვირდება ყველა სახის სასუქები, სამშენებლო მასალები. საწვავ-საცხების დეფიციტზე რომ საუბარიც უდემტია. მაგრამ მიუხედავად ამდგვიანი სიდუხჭირისა, ჩვენებურიკაცი ოდითგან ჭირთამთმენი და გამძლეა, წინააღმდეგობათა გადამლახველია და მას თავის გადარჩენის ეს ცხოველყოფილი ინსტიქტი არც დღეს დაშრეტია. ნებისმიერი სოფლის ხელ-

მძღვანელობამ ახლა უნდა დაიხსნოს პირველი რიგის საკეთებელი ღონისძიებების კონკრეტული პროგრამა, რაც თვით სოფლის მოსახლეობის ინტერესებიდან იქნება გამომდინარე. უპირველეს ყოვლისა, ხალხის გულისხმა, მათი საერთო გადაწყვეტილება უნდა გავიხადოთ მოქმედების ორიენტირად.

უძირითადესი პრობლემა ისევ და ისევ მიწის განაწილების, მისი დამუშავების სხვადასხვა ორგანიზაციული და სტრუქტურული ფორმების განსაზღვრის საკითხია. სწორედ ამ სფეროშია საშური დინჯი განსჯა აუჩქარებლობა, ყველა ასპექტის გონივრული გააზრება. ამოსავალ პუნქტად მაინც უნდა დავისახოთ ერთი რამ: ვის და რა ფორმით გადაეცეს დასამუშავებლად სახნავ-სავარგული. რა გარანტიებით იქნებოან ისინა უზრუნველყოფილნი და ა. შ.

ისევ როგორ გავკადნიერდებით, რომ მეურნე კაც რეცეპტები შევთავაზოთ, სად რა მოხნას და სად რა მოიწიოს. ოღონდ სოფლის გამგებლებს კი გვინდა ერთხელ კიდევ შევახსენოთ, თუ რაოდენ მძიმე და საპასუხისმგებლო ტვირთის ზიდვა უწყევთ. პირველ რიგში თქვენ უნდა გადაწყვიტოთ, ბატონებო, დარდით და ვარაობით გაწამებული სოფლის მოსახლეობის წინაშე თავჩინილი უმწვავესი საკითხები. ეს თქვენ უნდა შთაავაგონოთ „საკუთარ მრევლს“, რომ მხოლოდ ერთად დგომით, მხარდამხარ წვა-დაგვიოთ, თავაუღებელი ჯაფით, სულიერი და ფიზიკური ძალების მაქსიმალური გაღებით შევძლებთ დღევანდელი სოფლის აღორძინებას.

## სოფლის საღმისო საზრუნავი

### გვარჯარებს გაზაფხული

დღეს, მიწის რეფორმისა და პრივატიზაციის გარდამავალ პერიოდში, მთავარია არ დავგრჩეს არც ერთი გოჯი მიწა, პლანტაცია და უმუშავებელი. დადგა გაზაფხული და მას მომზადებული ტექნიკითა და შვა ნიდაგით უნდა დავხვდეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ არ დავგვიანოთ პირველი ხვნა, ჩაის ქვეშ საწამთრო-საგაზაფხულო სამუშაოები. გარდამავალ პერიოდში სოფლის მეურნეობის პროდუქციის შექმნის შანსი ჩვენს ხელშია.

ლოს საწვავის დეფიციტს, სასუქების შექმნისა და მინდვრად კატანის საქმეს, რასაც შესაბამისა სამსახურებმა უნდა მიხედონ. გვიჭირს ტექნიკის შერემონტება, რომლის მთავარი მიზნები სათადარიგო ნაწილების უქონლობაა ამასაც უნდა მოეგლოს და 800 ჰექტარზე გაშენებულ პლანტაციას არ უნდა მოვაკლოთ მზრუნველა ხელი, რამე თუ ჩაი ვალუტის წყაროა.

ნ. ზითანაძე, ზელაწერის მეურნეობის მექანიკოსი.

**პურადლევა!**  
ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი აცხადებს კონკურსს შემდეგი ვიკანტური აღილების დასაკავებლად: ა) ზოგადი მათემატიკის კათედრის პროფესორი, ბ) საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი, გ) კოლმეცურე ეკონომიის კათედრის დოცენტი  
(თითო საშტატო ერთეული).  
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ რექტორის სახელზე. განცხადების შემოტანის ვადა 10 დღეა კონკურსის გამოცხადებიდან.  
მისამართი: ზუგდიდი, თეატრის ქ. №5.  
რამატორბატი.

## შეგნების დეფიციტი ყველაზე საზინელი რამ არის

# ს ა ნ ა მ უ ბ ე დ უ რ ე ბ ა მ ო ხ დ ე ბ ო დ ე ს

ქარბორბალა გადავიღოთ ჰგავს ჩვენი ქალაქი: დანგრეულ-გაპარტახებული შენობები, ნახანარალი ნაფუძარები, გადაჭედილი სკვერები, წაქცეული ელექტრობოძები, ჯართი და თითქმის ყველგან ნავავი, ნავავი... და შემოქმედი ამ „სურათისა“, სამწუხაროდ, ადამიანია, ჩვენი თანამედროვე ანუ გულგრილი, უფრო სწორად, უგულო თანამემამულე.

ბევრი, ძალზე ბევრი რამ ტკივა ზუგდიდს. აურწყავ-დაუთვლელ საწუხარათგან თავისი სიმძაფრით ერთ-ერთი აქტუალური ანტისანიტარია გახლავთ. რითი ვუწამლოთ ამ საშიშ პრობლემას? ვინ ანავიანებს ჩვენს ქუჩებსა და მოედნებს, მდინარის სანაპიროსა და ბაღ-სკვერებს? ნავავს, ჭუჭუხს და სიბინძურეს შევაქმევინოთ? ზუგდიდი თუ არის საიმედო ალტერნატივა?—ამ და სხვა საკითხებზე ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა კეთილმოწყობის კომისიანტის დირექტორს ვინა ჩარბაზინას.

ბატონო ვენია ქალაქში გამეფებული უსუფთაობისა და თითქმის ყოველ ნაბიჯზე „მოლაღანე“ ნავავის გროვების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნუ მიწყენთ და, კეთილმოწყობის სამსახურის საქმიანობა პარალიზებული ჩანს. მართლაც ასეა?

—მთლად პარალიზებული არ იქმის. ვმუშაობთ, მაგრამ ძალიან უაფექტოდ. ჩვენი ხელი არ ეტყობა ქალაქს, რაც, მერწყმუნეთ, სუბიექტური ფაქტორებით არ არ-

მდგომარეობაში გვიყენია, მუშაობილიც მიუხედავად მწირი ანაზღურებისა მზად არის შეასრლოს დაკისრებული მოვალეობა, მაგრამ სიღარიბეს დაუდგა თვალები. არადა წლეულს გადიდებული ტარიფების გათვალისწინებით 66 მილიონი მანეთის კეთილმოწყობის სამუშაოები უნდა შეეასრულოთ. აქედან 6 მილიონ მანეთს გვირიცხავს კომუნალური მეურნეობა, ხოლო დანარჩენი თანხა—60 მილიონი საწარმო-დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან და მოსახლეობიდან უნდა შემოვიდეს... ღმერთმა თუ მოგვხვდა, საწარმოები ამუშავდნენ და ეს თანხები თუ მივიღეთ, უწინარესად საწვავს შევიძენთ, მოვლონიერდებით და საბოლოო ჯამში ქალაქის სისუფავესაც უზრუნველგყოფთ. საწვავს დეფიციტი—აი, მთავარი პრობლემა...

—დღესდღეობით რამდენ საწარმო-დაწესებულებასთან გაქვთ დადებული ხელშეკრულება მოსახურებაზე?  
—მხოლოდ კომუნალურ მეურნეობასა და ქალაქის რვა დაწესე-

ბულებასთან. მოსახლეობა ჯერჯერობით თავს იკავებს ხელშეკრულების გაფორმებაზე. ურთიერთ შეთანხმების შემთხვევაში ჩვენ ვეისრულობთ ინდმოსახლეს მოვემსახუროთ თვეში ორჯერ, ხოლო საწარმო-დაწესებულებას — ოთხჯერ. თავის მხრივ ისინი ვალდებული არიან თვის ან კვარტალური მომსახურების საფასური შეიტანონ წინასწარ.

—თქვენ შემოთ აღნიშნეთ, რომ 6 მილიონ მანეთს გირიცხავთ კომუნალური მეურნეობა. რას გაკისრებთ ეს თანხა?

—კომუნალური მეურნეობის ხაზით გასუფთავების არეალი მოიცავს ქალაქის შიგა ცენტრს. ესე იგი, ვალდებული ვართ ნავავი გავიტანოთ ქალაქის მხოლოდ ცენტრალური ნაწილიდან, მოედნებიდან, სკვერებიდან... ერთი სიტყვით, კომუნალური მეურნეობის საგამგეთო ზონიდან. სწორედ ამისათვის გვიხდის აღნიშნულ თანხას.

—განსაკუთრებით აუტანელი ან ტისანიტარია სუფევს ბულვარის ტერიტორიაზე, სხვაგანაც, მალე გაზაფხულის მზე დააცხუნებს, გამოჩნდება ბუზებიც და

არ არის გამორიცხული, რომ იფეთქოს ეპიდემიურმა დაავადებებმა. ვინ ხჩადის ასეთ მკრეხელობასა და ვინ უნდა ებრძოდეს სტიქიური ნავავსაყრელების წარმოქმნას?

—ამ დღეებში ჩვენ შევიძინეთ საწვავი. სპეცმანქანები და მუშები საქმეს შეუდგნენ. გავსუფთავებთ ბულვარსა და სხვა ცენტრალურ ადგილებს. რაც შეეება სტიქიურ ნავავსაყრელებს, მას ქმნის ანომალიური შეგნების პატრონი და ზნეობრივად დაკნინებული ზოგერთი ჩვენი ვაიმოქალაქე. ბულვარში დაყრილი ნავავი უცხოპლანეტელს არ შეუტანია. იქვე, ახლოს მცხოვრები ნახელავია უთუოდ. არადა, სიტყვით ყველანი ერისკაცები ვართ და მშობლიური ქალაქის პატრიოტობაზე ვდებთ თავს. საერთო განუკითხაობის ფონზე ვერც ჩვენ, ვერც ბუნების დაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა თუ სანებიუსადგურის მუშაეები ვერ დავიკვნებით სისუფთავისათვის ბრძოლაში აქტიურობას. ჯერ-ჯერობით ასე...  
ესაუბრა ჯ. პარბანი.

# გიორგი ჭყონდიდე-მწიგნობართუხუცესი

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ მომენტში სამეფო ტახტზე ავიდა თქვენს-ეტი წლის დავით მეოთხე (ალმაშენებელი). ქართული ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება, რომ გიორგი მეორის (დავით ალმაშენებლის მამა) გადადგომასა და ქაბუჯი დავითის გახელმწიფებაში აქტიური მონაწილეობას ღებულობდა გიორგი ჭყონდიდე. უცოლობელი ფაქტია, რომ დავითის კორონაციის შემდეგ მისი თავდათავი მრჩეველი და მესაიდუმლე გიორგი ჭყონდიდე გახდა. მემატანის ცნობით, ჭყონდიდე დავითის გამეფებამდე იყო უფლისწულის მოძღვარი. საგულისხმოა ისიც, რომ მოწაფე-მასწავლებელს შორის შესამჩნევი ასაკობრივი განსხვავება არ ყოფილა. დავითის ისტორიკოსი გიორგი ჭყონდიდეც ერთგან ასე ახასიათებს: „კაცი სრული ყოველითა სიკეთითა სულითა და ხორცთათა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა... სვიანი და ფრთხილი“. ახალგაზრდა მეფისა და მისი მრჩევლის წინაშე ათასი პრობლემა იდგა: შერკინება ურდობთან საქართველოს მიწა-წყლიდან გასარკება; გალაშქრება სებატასტულად განწყობილი აზნაურების ასალაგმავად; ბრძოლა ეკლესიის გასაწმენდად და ა. შ. როგორც ცნობილია, 1103 წელს დავით ალმაშენებელმა სასულიერო ფეოდალების წინააღმდეგ გალაშქრების მიზნით მოიწვია რუს-ურბნისის საეპისკოპოსო კრება. ამ ყრილობის მთავარი ინიციატორი და ორგანიზატორი სხვა გამოჩენილ ადამიანებთან ერთად ყოფილა გიორგი ჭყონდიდე. როგორც ერთ-ერთი ლიტერატურულ-ისტორიული წყარო გვაუწყებს, იგი ამ კრების „თვალის“ იყო. კრების დადგენილებით, ის ეპისკოპოსები, რომელნიც „მამულობით“ ფლობდნენ საეპისკოპოსო თანამდებობას, უნდა გადაეყენებულყვნენ. კრების უნიკალურმა ოქ-

მა ჩვენს დრომდე მოაღწია. მისი სრული სახელწოდება ასეთია: „ძეგლისწერაი წმინდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისაი, რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღმრთივ დაცვულისა მეფისა ჩუენისა დავით აფხაზთა და ქართველთა, რანთა და კახთა მეფისაი, პირთათვის, რომელნი ქუეშო მოხსენებულ არიან“. შემოკლებულად კი ამ ოქმს, თუ გადაწყვეტილებას რუს-ურბნისის კრების ძეგლისწერა უწოდებენ. სწორედ, ეს „ძეგლისწერა“ გვაწვდის ცნობას კრების მიმდინარეობაში გიორგი ჭყონდიდელის მონაწილეობის შესახებ. მასში ვკითხულობთ: „ღირსისა მეუფისა ჩუენისა და თულად წმინდისა ამის კრებისა ცნობილისა გიორგი მონაზონისა და მწიგნობართ უხუცესისა“. „ძეგლისწერა“ შედგენილია დავით ალმაშენებლის თანამედროვე არსენ ბერის მიერ. ზოგიერთი მეცნიერის მონაცემით, არსენ ბერი უნდა იყოს იგივე არსენ ივალთოელი—ივალთოს აკადემიის დამარსებელი მიუხედავად ამისა, ყველა მკვლევარი არ იზიარებს ამ შეხედულებას. რუს-ურბნისის კრებამ თხუთმეტი მნიშვნელოვანი კანონი მიიღო. ამ კრების საყურადღებო გადაწყვეტილებანი დავით ალმაშენებელმა სწრაფად განახორციელა. მიღწეული გამარჯვების განმტკიცების მიზნით, დავით მეოთხემ ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის თანამდებობანი (საეპისკოპოსო და საერო) შეაერთა. აქ უნდა აღინიშნოს, რომ „ჭყონდიდე“ საქართველოს ერთ-ერთი ღირსესანიშნავი სამღვდელმთავროს—ჭყონდიდის (მარტვილი) ეპარქიის მთავარეპისკოპოსს ერქვა და უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა ქვეყანაში. რუს-ურბნისის კრების მიმდინარეობისას გიორგი ჭყონდიდე მწიგნობართუხუცესის თანამდებობას, ანუ პირველი ვეზირის სახელს ფლობდა.

ჭყონდიდელის წოდება მას ცოტა მოგვიანებით მიეკუთვნა. დავით ალმაშენებელმა ეკლესიაში მოკალათებულ დიდგვაროვანთა პარპაშის ასალაგმავად ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის ფუნქციები ერთი ადამიანის ხელში მოაქცია. ასე და ამგვარად შეიქმნა ჭყონდიდე — მწიგნობართუხუცესის თანამდებობა და პირველი ჭყონდიდე — მწიგნობართუხუცესი მეფის აღმწოდელი გიორგი მონაზონი გახდა. დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი—„ხელმწიფის კარის გარიგება“ გვამცნობს, რომ ჭყონდიდე-მწიგნობართუხუცესი „ვითა მამა არს მეფისა, აგრე ყველა საურავი უნისოდ არ იქნებინ“. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მეფემ სასამართლო უწყების—„მართლმსაჯულების“ მეხეურობაც მასვე დაავალა. უზენაეს სასამართლო დაწესებულებას რომელსაც „საჯო კარი“ ერქვა სათავეში ჩაუდგა ჭყონდიდე-მწიგნობართუხუცესი—„მართლმსაჯული და ხელმძღვრელი უღონოთა და ქვრავთა“. აქამდე კი თვით მეფე გვევლინებოდა პირველ მსაჯულად სახელმწიფოში. როგორც წერილობითი დოკუმენტები ირკვევა, სწორედ დავით მეოთხის დროიდან შეუთავსდა ჭყონდიდე-მწიგნობართუხუცესს ეს ფრიალ პატივსაცემი სამსახური. „ხელმწიფის კარის გარიგებიდან“ ირკვევა, რომ ჭყონდიდელს მომჩივანთა მისაღებად გამორჩეული დღე, ორშაბათი ჰქონდა დანიშნული. იგი ხშირად ამოწმებდა, რამდენად მართალი იყო მოსარჩელე და როდესაც შეატყობდა, რომ უმისოდ საქმეს ვერ მოაგვარებდნენ, მასინ „ადგების და თვით მივა და მაშინ იურვის, რაც ვის უსამართლო სჭირს“.

ქვეყნის საშინაო პრობლემების მოწესრიგების შემდეგ დავით ალმაშენებელმა გადაწყვიტა აღმოსავლეთ საქართველოში მდგარი სელიმ-ბეგის მცხოვრე ჯარები მოესპო და ამით ბოლომდე დაეგვირგვინებინა საქართველოს გაერთიანების საქმე. ამ პერიოდისთვის თურქებს ეპირათ თბილისი და ციხე-ქალაქები—დმანისი, სამშვილდე, რუსთავი. დედაქალაქს გათავისუფლება მტრის თავდაცვითი სისტემის ციტადელის—სამშვილდეს აღების გარეშე წარმოუდგენელი იყო. კლდეკარის გამაგეული თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი მხარში ამოუდგნენ გიორგი ჭყონდიდე-მწიგნობართუხუცესს და 1110 წელს თურქებს ხელიდან გამოსტაცეს სამშვილდე. გიორგი ჭყონდიდელის დიდ სამხედრო ნიჭს უსვამს ხაზს მემატანე, როდესაც წერს, „სამარჯვით მოიპარეს სამშვილდე“. სამშვილდის აღების პოლიტიკური მნიშვნელობა ამ სიტუაციაშიც აშკარად გამოსკვივის: „ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამით მეოც იქმნეს“.

1115 წელს გიორგი ჭყონდიდე-მწიგნობართუხუცესმა თურქებს წაართვა კიდეც ერთი მნიშვნელოვანი სიმაგრე—რუსთავი. 1118 წელს დავით ალმაშენებელი თავისი უახლოესი თანამდგომებისა და მრჩეველების თანხლებით ჩრდილო კავკასიაში გადავიდა. მან „თანაწარბიტანა“ გიორგი ჭყონდიდე. იქ საქართველოსა და ყივჩაყებს შორის ომები ესახლნენ, რომელნიც ყივჩაყებს ემტერებოდნენ და ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საქართველოში მათი გადმოსვლისათვის. საქირო იყო ოსებთან მოლაპარაკება, რათა ყივჩაყთა ორმოცდახუთი ათასი ოჯახი მშვიდობიანად გადმოეტარებინათ საქართველოში. მტკიცე შინაგანი ერთობით შეკავშირებული ყივჩაყთა ჯარი უნდა ჩამდგარიყო დავით ალმაშენებლის სამხარში. არავინ იცის, ავადმყოფობით თუ სხვა მიზეზით, 1118 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა გიორგი ჭყონდიდე.

## ნომრის სტუმარი

ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი ოცდამეერთე საუკუნეს უმზადებს სპეციალისტებს. ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარი, ამ ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი გომბორნი ჯანსიძე სიამოვნებით დავთანხმდა პასუხს, გაეცა რამდენიმე შეკითხვას.

—ბატონო, გობრონი თუ შეიძლება ორიოდ სიტყვით ეკონომიკური ფაკულტეტის საქმიანობის შესახებ.

—ჩვენი ფაკულტეტი უნივერსიტეტში ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და ტექნიკურად შედარებით სრულყოფილია. ხუთას ორი სტუდენტიდან უმრავლესობა ადგილობრივია, მაგრამ ეკვირი ჩამოსულია წალხეზიდან, ხობიდან, ჩხოროწყუდან, სენაკიდან, გალიდან, მარტვილიდან, ფოთიდან, აბაშიდან, სამტრედიიდან, ოჩამჩირიდან, გაგრიდან, ბათუმიდან, ქობულეთიდან. სხვათაშორის 60-ზე მეტი სტუდენტი რუსეთის სხვადასხვა ინსტიტუტიდან გადმოვიდა.

ფაკულტეტზე ფუნქციონირებენ სამეცნიერო საბჭო; სტუდენტთა სამეცნიერო წრეები. გამოკვეთილია სამი ძირითადი სპეციალობა. მაკროეკონომიკა, ბიზნესისა და მარკეტინგის მეცნიერება, საფინანსო-საბანკო საქმიანობის მეცნიერება.

ნავარაუდევია, მომავალი წლიდან დაგვემატოს ბუნებალტრული ალრიცების, ეკონომიკური ანალიზის სპეციალობები.

დღეს უკვე შეიძლება ვთქვათ—სტუდენტთა მოსწრება დამაკმაყოფილებელია. ოცდამეორე ფრიალოსანია ფაკულტეტზე. ბევრია ისეთი მოაზროვნე სტუდენტიც, რომელიც სამომავლოდ გვეიმედება. არც იმას დაგიმალავთ, რომ ხელიგნური გამოხლომების გამო პირველსავე სემესტრში გაირიცხა შეიდი სტუდენტი.

რაც შეეხება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, გვაქვს საკუთარი ხუთსართულიანი შენობა ახალი სასწავლო ავეჯით...

—რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, თქვენი ფაკულტეტის სასწავლო პროცესში სიახლეებია...

—არის, რა თქმა უნდა... უკვე

მე-2 კურსის პირველი სემესტრიდან იკითხება ისეთი სპეციალური საგნები, როგორცაა: საბაზრო ეკონომიკის საფუძვლები, მეცემენტო, მარკეტინგი, აღრიცხვა, ანალიზი და აუდიტი, მაკრო და მიკროეკონომიკები. ამ საგნებისთვის პროგრამები შემუშავებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეთოდკომისიის მიერ. სასწავლო კადრების სიმცირის გამო, მომხიბველ, არაკორექტულობისათვის, მაგრამ საინტერესოა, თქვენს ფაკულტეტზე რა მდგომარეობაა ამ მხრივ?

—არ ვიცი, ვინ, რა, როგორ თვლის, მაგრამ მარტო ჩვენს ფაკულტეტზე მეტი პროფესორი, ერთი აკადემიკოსი, ხუთი დოცენტი—ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, ოთხი

ვლო გვემებს ვიღებთ ბიზნესის უმაღლესი სკოლებიდან და ინსტიტუტებიდან. საინტერესოა ის არის, რომ პროგრამების, მეთოდობითობების და სხვა სახის მეთოდოლოგიური სამუშაოს შესრულებისას ავტომატურად კი არ ვიყენებთ ყველაფერს, ჩვენ თვითონ ვამუშავებთ და გავაქვს ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე დასამტკიცებლად სიახლედ ისიც შეგვიძლია მიგვეთვალოს, რომ სასწავლო პროცესის დარღვევისთვის შემოღებული გვაქვს ფულადი ჯარიმები.

—ბევრი თვლის, რომ ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი ვერ მისცემს ღრმა, მეცნიერულ ცოდნას ახალგაზრდებს პროესორ-მასწავლებელთა კვალიფიცი-

ონგი... —ბატონო გობრონი დღეს ბევრს ლაპარაკობენ საქართველოს ყოფნა-არყოფნაზე. ეძებენ ხსნის გზას, თქვენ, როგორც პროფესიონალი ეკონომისტი და ეროვნულ მოძრაობაში ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან ჩაბმული პიროვნება როგორ ფიქრობთ, სად და რაში უნდა ეძებოს ქართველმა გამოსავალი?

—გულახდილად გეტყვით: მაღარდებს და გულს მიკლავს ის, რაც დღეს ჩვენს ირგვლივ ხდება. საყაროს გონი უნდა მართავდეს და არა ემოციებით—ნათქვამია ჩვენი ხსნა გონსა და გონიერებაშია, ცოდნაშია, ზნეობასა და სიყვარულშია.

დამეთანხმებით ალბათ, პოლიტიკა და ეკონომიკა განუყოფელია ერთმანეთისაგან სახელმწიფოებრივი ძლიერებისათვის ბრძოლაში. ერთნი ამბობენ—პოლიტიკა ბინძურიაო. გააჩნია ვის ხელში და ვინ, როგორ გამოიყენებს მას, დანამ შეიძლება მოკლას კაცი, მაგრამ დანა პატიოსანი კაცის ხელში შეიძლება სიკეთეს ემსახუროს რა გვისხნის? სწორი პოლიტიკა, გაზრებული ეკონომიკური კურსი. მაგრამ სწორედ ამ სწორი გზის ძიებაშია მთელი სირთულე. მე დი-

(დასასრული მე-4 გვერდზე)

იმავს, თუ როგორი მმართველობის ფორმა შეიძლება ჩამოყალიბდეს სოფელში უახლოეს პერიოდში...

და ზარალიანი საზოგადოებრივი მეურნეობები. მათ ბაზაზე კი შეიქმნას ფერმერული, კომპლექტილი საექცო...

გამონახვა, რომელიც სოფლის ფინანსების სოფელშივე დაბანდება შეუწყობს ხელს...

გადაყვანს სხვა მიმართულებაზე. —გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე სრული პრივატიზაცია უნდა შეეხოს სახანავი და არასტრატეგიული დანიშნულების მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულ ფართობებს...

ომდინარე აქედან, ვფიქრობ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სასაწყობო მეურნეობა და მომარაგება, ავტოპარკები, დარჩენს სოფლის მუნიციპალურ საკუთრებაში და მის ბაზაზე შეიქმნას გლეხობის მომსახურების სერვისი...

რით ვაზრდებით სოფელს?

რეორგანიზაციის მიზანი: პროდუქციის წარმოების ზრდა

—დღეს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებიდან უნდა გამოიყოს უმთავრესი ფულის გაუფასურების პროცესი, რომელიც მიზეზია წარმოების დონის დაკლების, ნორმალურ ვითარებაში შრომის ანაზღაურების ზრდას (ხელშეწყობის მომართვა)...

—გთხოვთ აგვიჩვენოთ, რას გულისხმობთ, როცა ამბობთ: შევინარჩუნოთ ეკონომიურად უმოგებიანი საზოგადოებრივი მეურნეობები, მაგრამ ჩავატაროთ მათი რეორგანიზაცია?

—ღნიშნული საკითხისადმი არის გარკვეული მისაზრება იმის შესახებ, რომ მოხდეს ყველა ხანის მიწების დაუყოვნებლივი პრივატიზაცია, კერძო საკუთრებაში მისი გადაცემა...

ვის ხელსაყრელ პირობებში—იჭარული ფორმების გამოყენებით. ხოლო შემდეგ, სოფლის მეურნეობაში გარკვეული სტაბილიზაციისა და ჩვენთვის ხელსაყრელი კანონების ამოქმედების შედეგად შეიძლება დაიწყოს შემოთ-დასახელებული ფართობების პრივატიზაცია...

—კიდევ რა საჭიროებოდა პრობლემებზე გაამახვილებდით ყურადღებას? —გარდა ზემოთ აღნიშნულისა; უპირატესად უნდა გაიზარდოს წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ფასები, ან საერთოდ განთავისუფლდნენ ზედა ზღვარისაგან; სასწრაფოდ გაუქმდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების არსებული დაბეგვრის მანიერო პრაქტიკა და იგი მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ მისი მასტიმულირებელი მექანიზმების გამოყენებით; საჭიროა მკვეთრად შეიცვალოს სოფლის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ფორმა...

—ყოველი სამეურნეო ერთეულის, თუ მართვის მექანიზმის გარდაქმნისა და რეორგანიზაციის აზრს უნდა იყოს პროდუქციის წარმოების ზრდა და არა ის, რომ მოხდეს რეორგანიზაცია — რეორგანიზაციისათვის, გვინტერესებს თქვენი აზრი?

—რეორგანიზაციაში ცვლილებებს სტრუქტურულ ცვლილებებს. არსებულმა სამეურნეო საწარმოებმა თავად უნდა გადაწყვიტონ და აირჩიონ კოლექტივისთვის მისაღები ისეთი მეურნეობების ფორმები, როგორცაა გლეხური (ფერმერული) მეურნეობები, გლეხთა კავშირები, კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, აქციონერული საზოგადოებები, ანოციაციები და სხვა.

—ამ რეორგანიზაციაში ცვლილებების მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას ახალბასთუმნის გლეხთა კავშირი. მზალა გვაქვს დებულების პრაქტიკა, სადაც გათვალისწინებულია მმართველობითი სტრუქტურების ძირფესვიანი შეცვლა. როცა სოფელში არ არის ერთმმართველობა (მხედველობაში მაქვს სახსრებიანი მეურნეობის თავმჯდომარე და უსახსრო საკრებულო თავმჯდომარე), ხშირად ვერ ხერხდება იმ ეკონომიკური ბერკეტის

—დღეს სოფლის მეურნეობა თითქმის დაკარგულია. მრეწველობა უკანასკნელად რამდენიმეჯერზე გააძვირა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ასევე პროცენტით გაიზარდა საწყვავის, თესლეულის, მინერალური სასუქების და სხვა მასალების ღირებულება, შეძლებს კი გლეხობა ამ პირობებში აწარმოოს პროდუქციის მაქსიმუმი?

—პირველი წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მიწების მოსავლიანობა და ნაყოფიერების მაჩვენებლები საგრძნობლად დაეცა; და ამის უმთავრესი მიზეზია ის, რომ გლეხს არ გააჩნია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვა მატერიალური ფასეულობანი, რომელიც საჭიროა მიწის ავროწყენების მიხედვით დასამუშავებლად, ამას ემატება ინფლაციური პროცესები, გამ-

ბირველი: შევინარჩუნოთ ეკონომიურად ძლიერი, მომგებიანი საზოგადოებრივი მეურნეობები, მაგრამ მოვინდინოთ მათი რეორგანიზაცია და მეორე: დაიშალოს დაბალრენტაბელური

ჩვენი მეურნეობის ბაზაზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას ახალბასთუმნის გლეხთა კავშირი. მზალა გვაქვს დებულების პრაქტიკა, სადაც გათვალისწინებულია მმართველობითი სტრუქტურების ძირფესვიანი შეცვლა. როცა სოფელში არ არის ერთმმართველობა (მხედველობაში მაქვს სახსრებიანი მეურნეობის თავმჯდომარე და უსახსრო საკრებულო თავმჯდომარე), ხშირად ვერ ხერხდება იმ ეკონომიკური ბერკეტის

ვერსად წავუვალთ იმ ფაქტს, რომ საქართველოს მეტწილ რაიონებს ხელთ შერჩა სახელმწიფოსათვის სტრატეგიული დანიშნულების დარგები (ჩვენი რაიონისათვის ჩაი), რომელიც შემოსავლების ძირითადი წყაროა. ამასთან, პირველ ეტაპზე ძნელია ორიენტირებული მრეწველობის

—პირველი წლის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მიწების მოსავლიანობა და ნაყოფიერების მაჩვენებლები საგრძნობლად დაეცა; და ამის უმთავრესი მიზეზია ის, რომ გლეხს არ გააჩნია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და სხვა მატერიალური ფასეულობანი, რომელიც საჭიროა მიწის ავროწყენების მიხედვით დასამუშავებლად, ამას ემატება ინფლაციური პროცესები, გამ-

ლილი სხარულით იგონებს ერთ შემთხვევას—სოხუმის ერთ-ერთ საფლამყოფოში, როცა ავადმყოფის მოსანახულებლად მისულს სხარულით გადაეხვია თეთრხალათიანი ექიმი და ლილი მასწავლებლომ შესძახა. ქაიბენიო, ამბობს ლილი, ვერ აღვადგინე ვინ მგვევლიდაო, შემდეგ ექიმმა თვით გადანტა უხერხულობა: მე თქვენი ყოფილი მოსწავლე ვარ, ნათელა და შოთა ბენდელიანების ქალიშვილი და მიუთითა ხალათზე, რომელიც მას ეცვა. ლილი მასწავლებლომ ეს ხალათი მე შეეკვრე და ჩემსამ შეილსაც მე ვუკვრავ ტანსაცმელსო. გამეხარდაო, იგონებს ლილი... ამ წერილს ღიმი პრეტენზია არა აქვს, უბრალოდ გვინდა შევასწავლოთ დაინტერესებულ პირებს, რომ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის სწავლებას, რამდენ თუ „სწავლებლას“ სჭირდებათ ბევრი რამის ცოდნა.

ის იყო თენდებოდა, როცა თავისუფლების მოედანთან, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე პურის მაღაზიის წინ რიგში ჩამდგარ მოქალაქეებს ბულვარიდან ნაჯანის ყრუ დარტყმის ხმები მოგვცხმა.

ბული ჩვენი ქალაქი? ამოიღლიათ ახლა ის თქვენი ნაჯანი და წაბრძინდით! მან შერჩა შეგავლო, მერე თავისთვის რაღაც ჩაილაპარაკა, უმწიფოდ ჩამოყრილ მხარზე ნაჯანი გაიღო და ჰადრებს იქით დილის ბინდ-ბუნდში კაჭურინარდა.

რის — „დაიჭირეთ ქურდი“. ერთი სიტყვით, პატრონი არა მყავს ქვეყანას. ასეა ეს. —პატრონის კაცი უსამართლობის მორევში რომ იხრჩობა და ქვეყანა ჩალით რომ არის დახურული — ეს ფაქტია, — გაუპასუხა ახალგაზრდას კეისი-ქუდიანი მოხუცი. — მაგრამ გაჭირვებისა და სიდუხჭირის მომიზეზებით ჩადენილი ბოროტების გამართლება არ ეგების. მე, ჩემდათუქვად, ცეცხლის წამკიდებელზე, ყაჩაღზე, ტერორისტ-დივერსანტზე ნაკლებ ბოროტ მოქმედად და დამნაშავედ არ ვთვლი იმას, ვინც ბოტანიკურ ბაღში უნიკალური მცენარე ხელყო, ვინც გაჩეხა და გაანადგურა კრიპტომერის კორომები ონარი-კითაწყარის, ხეცერა-ნარაუნის, რიყ-ზედაიწერის მეურნეობათა ქარსაფარ ზოლში... ღმერთი ამ ცოდვისთვისაც მოგკითხავს, ბუნება დაგვჭვის და ახიც იქნება ჩვენზე.

როგ აზნო, უნდა იხსავლო! ამ ლოზუნგს ყავლი არასოდეს გაუვა. იმრომ, ნიშნავს დამოადგე ჯერ თვის, მერე ქვეყანას, შრომის გაკვეთილები ისევე სჭირდება მოსწავლეს, როგორც ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიის და ა. შ. თვით სწავლულნიც უსუსურნი ხდებიან ზოგ შემთხვევაში, როცა მათ არ ეხერხებათ, უბრალოდ ლურსმინს მიჰქედებაც კი...

ლილი სხარულით იგონებს ერთ შემთხვევას—სოხუმის ერთ-ერთ საფლამყოფოში, როცა ავადმყოფის მოსანახულებლად მისულს სხარულით გადაეხვია თეთრხალათიანი ექიმი და ლილი მასწავლებლომ შესძახა. ქაიბენიო, ამბობს ლილი, ვერ აღვადგინე ვინ მგვევლიდაო, შემდეგ ექიმმა თვით გადანტა უხერხულობა: მე თქვენი ყოფილი მოსწავლე ვარ, ნათელა და შოთა ბენდელიანების ქალიშვილი და მიუთითა ხალათზე, რომელიც მას ეცვა. ლილი მასწავლებლომ ეს ხალათი მე შეეკვრე და ჩემსამ შეილსაც მე ვუკვრავ ტანსაცმელსო. გამეხარდაო, იგონებს ლილი... ამ წერილს ღიმი პრეტენზია არა აქვს, უბრალოდ გვინდა შევასწავლოთ დაინტერესებულ პირებს, რომ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის სწავლებას, რამდენ თუ „სწავლებლას“ სჭირდებათ ბევრი რამის ცოდნა.

როცა სულშიც სიცივეა...

როლაც, სტალინის ნაძგლარ კვარცხლბეკის შორიანლობა ხანდაზმული, კაჟანდარა ქალი ე. წ. რუსული ნაჯანით მისდგომოდა ირმის რქასავით დატოტვილ ხე-ბუჩქოვან დეკორატიულ მცენარეს და ჭრიდა. მამაკაცს რომ გადაეყრდით, ალბათ, მკვასხე საუბარი წარმართებოდა, მაგრამ ასეთ არასასურველ როლში ქალის ხილვამ ცივი წყალი გადაავლო ჩვენს აღფრთოვანს.

მანაც არაფერი ეშველება და ბარემ წაედო, ქალის მისამართით თქვა ერთ-ერთმა. —ჰო, გაჭირვება და სიცივე გამოიყვანდა ქუჩაში ამ უთენია, თორემ დაღბნენილი და გულმსუყუე ადამიანი, მითუმეტეს მანდილოსანი, ბულვარში ხის მოჭრას იკისრებდა? — სიტყვა აუბა მეორემ. —ჩვენც ძალიან გამოვიდით თავი, — საუბარში ჩაერია მესამე, — ისეთ ქვეყანასა და დროში ვცხოვრობთ, ხეს კი არა კაცი სჭრის თავს კაცს. საკუთარი კეთილდღეობისათვის და ეს ღამისა არავის უყვირს. უწინეთო, დამნაშავეთა და ფარისევლთა ზეობის ქამი გვიდგას. დღეს ყველაზე ხმადალა ქურდი ყვი-

ჩვენს სქა-ბაას წერტილი დაუსვა პურის სპეცმანქანის გამოჩენამ. ყველამ მაღაზიას მივაშურეთ და ჩავერთეთ ვითარებისა და დროის შესაფერის ორომტრიალში ისე, როგორც შარშან, გუშინწინ თუ გუშინ. ჯ. ჯაბაბდარი.

როგ აზნო, უნდა იხსავლო! ამ ლოზუნგს ყავლი არასოდეს გაუვა. იმრომ, ნიშნავს დამოადგე ჯერ თვის, მერე ქვეყანას, შრომის გაკვეთილები ისევე სჭირდება მოსწავლეს, როგორც ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიის და ა. შ. თვით სწავლულნიც უსუსურნი ხდებიან ზოგ შემთხვევაში, როცა მათ არ ეხერხებათ, უბრალოდ ლურსმინს მიჰქედებაც კი...

ლილი სხარულით იგონებს ერთ შემთხვევას—სოხუმის ერთ-ერთ საფლამყოფოში, როცა ავადმყოფის მოსანახულებლად მისულს სხარულით გადაეხვია თეთრხალათიანი ექიმი და ლილი მასწავლებლომ შესძახა. ქაიბენიო, ამბობს ლილი, ვერ აღვადგინე ვინ მგვევლიდაო, შემდეგ ექიმმა თვით გადანტა უხერხულობა: მე თქვენი ყოფილი მოსწავლე ვარ, ნათელა და შოთა ბენდელიანების ქალიშვილი და მიუთითა ხალათზე, რომელიც მას ეცვა. ლილი მასწავლებლომ ეს ხალათი მე შეეკვრე და ჩემსამ შეილსაც მე ვუკვრავ ტანსაცმელსო. გამეხარდაო, იგონებს ლილი... ამ წერილს ღიმი პრეტენზია არა აქვს, უბრალოდ გვინდა შევასწავლოთ დაინტერესებულ პირებს, რომ სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის სწავლებას, რამდენ თუ „სწავლებლას“ სჭირდებათ ბევრი რამის ცოდნა.



# „საბჭოთა კავშირის საკრებულო“

## გარეკანს

(დასასრული)

დი რანგის პოლიტიკოსად არ ვთვლი თავს. ამიტომ როგორც პროფესიონალი, ეკონომიკაზე მოგახსენებთ ძირითადად. ავადმყოფი რომ გადაარჩინო, ჯერ დიაგნოზი უნდა დასვა და შემდეგ უმჯობესალო. ჩვენს დაავადებულ ეკონომიკას თერაპიული მკურნალობა უკვე არ შეეძლოს. საჭიროა, სასწრაფო ქირურგიული ჩარევა.

პირველ რიგში უნდა გავერკვეთ: ვმკურნალობთ რას — დეფორმირებულ სოციალიზმს, თუ დეფორმირებულ საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებს? ახლა, ამ პერიოდისთვის სოციალიზმი ჩვენთან თუ კაპიტალიზმი? თუ დეფორმირებული სოციალიზმი და გადასვლის ვაბირებულ საბაზრო ეკონომიკაზე, აუცილებელია ქირურგიული ჩარევა. თუ ჩვენთან არასოდეს არ ყოფილა კლასიკური ფორმით სოციალიზმი და საქმე გვაქვს რეგულირებად, ადმინისტრაციულად მართვად დეფორმირებულ კაპიტალიზმთან ანუ კაპიტალიზმისა და სო-

ციალიზმის მანეწ წესთა ერთობლიობასთან, მათ კონგლომერატთან და სჭარბობს კაპიტალიზტური წარმოების ელემენტები, უნდა ვუმკურნალოთ ამ ელემენტებს, გავათავისუფლოთ სოციალიზმის მანეწ ბაცილები-საგან და გადავიდეთ საბაზრო ურთიერთობებზე. საქართველოს ამ მდგომარეობიდან გამოყვანას ახალი თეორიული ბაზა, ანუ მეცნიერულად დასაბუთებული და პრაქტიკულად აპრობირებული ეკონომიკური კონცეფციები სჭირდება.

მრავალ ეკონომიკურ საკითხზე არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. გაზეთი კი შესანიშნავი ტრიბუნაა სადისკუსიოდ. მეცნიერ-თეორეტიკოსების შეჯერებულ წინადადებებს გამოცდილ პრაქტიკოსებთან, შეუძლია დიდი წარმატება მოუტანოს ეკონომიკური აზრის განვითარების პროცესს. საზოგადოებრივი კანონიერებაც მომწიფდება თუ საით, რომელი გზით წასვლა სჭირდება, რომელი გადაგვარჩენს. **ესაუბრა ნ. მოსიძე.**

### გამოსათხოვარი

#### გატუთა ანთელავა

ამ დღეებში თბილისის მიწამ მიიბარა შენი სხეული, ნაცრისფერ გზაზე სევდით მავალო, თეთრი სიზმარივით, თეთრი ფიჭვივით გამქარალო. სულმა კი, აღზად ჩამოაღწია შენს ზუგდიდში და თავს ევლება ახალგაზრდობაში დაკარგულ მეუღლეს, ძმებს ძმისშვილს. და ადრე წასულ შენს მეგობრებს...

ბედავოგად იმოდევანე ჯერ ქ, შემდეგ კი თბილისში. მათე-

მატიკას ასწავლიდი თავგანწირვით, მაგრამ მაინც შენს ზღვისფერ თვალეებში მომტებულად ირეკლებოდა ცხოვრებისეული ფიქრი და სევდა. მშვიდობით კეთილყო, სათნო და ერთგულყო მეგობარო, დავიწყებით არასოდეს დაბინდება შენი ხსოვნა და გაბრწყინვალეობა.

**ბაბო აბულაძე, გული შინაში.**

#### მსუბუქი იყოს

საოცრად ღამაში იყავი ღალი, მოსიყვარულე და მეგობრული. მხოლოდ 24-ე გაზაფხულს შეხვდი ღიმილიანი, მხოლოდ წელიწადნახევარ იცხოვრე საყვარელი მეუღლის ოჯახში, ვერ უახტები სიყვარულით, ვერ ეღირსე სანუჯვარ ოცნება — დედობას.

10 მარტი შენი დაბადების დღეა, უშენოდ შევხვდებით ამ დღეს, მაცხოვრის კარის სახაფლაოზე ამოგაიხსნავთ მუხლმოყ-

რილნი დაგინთებთ სათნოებს, ყვავილები დაფარავს წმინდა საფანეს. უფლის ნებით ვარდობის თვეში შეციურ სულთა სამყაროში გადასახლდი. მსუბუქი იყოს შენს საფლავზე მოყრილი მიწა.

**ნუნუ ჭვარაძე,**

#### სარედაქციო კოლეგია

რძლები: მზია გეთია, ირმა ქე-ბურია, ძმისშვილი კახა შვილით მამუკა ანთელავი, ცილა რე-ზო ქეპურები ოჯახებით იუწყებიან. **მატიკა ილიას ასულ ანთელავს გარდაცვალებას.**

მეუღლე ბაბუცა ჩაგინავა, შვილები: თამაზი, ანზორი, რძლები: მარინა ნოდია, რუსიკო ფონხუა, შვილიშვილები: თეა, გიორგი იუწყებიან რომ გარდაიცვალა **რაფიელ დიმიტრის ძე ცანავა** დაკრძალვა 4 მარტს, გამოსვენება 16 საათზე, წალკის № 33-დან.

შუგდიდის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე სამმართველოს თანამშრომელი პოლიციის კაპიტანი **მუჯარ აკაის ძე კუხალიშვილი** და სამშობლოს უცხადებენ განსვენების ოჯახს.

მეუღლე მზია, შვილები: ლაშა ილარიონი, მია, რომა, ნინა; ნინო, მონია, ნათია, თამარიკო, სიდერო ნათელა. სიმამრი ადამური ხასია, ბიკოლა ფედოსია საჭაია, ცოლისდა ფატიმა ხასია, ბიძაშვილები: დათუმა, ტანია, კატუშა, პარმენი, შორდანი საჭაიბი, მამიდაშვილები, დეი-დაშვილები და ახლო ნათესაებ-ბი ოჯახებით იუწყებიან

**როინი ილარიონის ძე საჭაიას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 4, 5, 6 მარტს, დაკრძალვა 7 მარტს გამოსვენება ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №88-დან, 15 საათზე.

შვილი იგორი. რძალი ვერიკო ემზიარი, შვილიშვილები: დათო, თეონა იუწყებიან **ვერა ძურგუს ასული ჯიჭონია-აბულაძის** გარდაცვალებას დაკრძალვა 6 მარტს სოფელ ერგეტაში, გამოსვენება 5 საათზე.

„არ ვიცი მე ის, მომავალში რა მიწერია, ვიწამე ლექსი და პირჯვარი დამიწერია“... ამბობს გოჩა, რომელმაც რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ სიკვდილი აქ, თავისი საფიცარი ქალაქის შუაგულში ჩაუსაფრდებოდა.

გოჩას ლექსებს თრთოლივით ეთხოვლობდნენ მოსწავლეები: შორენა ანთელავა, ცირა ფირცხალავა, მირანდა ხალია, თამუნა მარღია, ირმა ცხადია, ნიკო გოგონია, იულია გუნავა და სხვები. საღამო მიშჟავდათ თეა ხასიას

დარიყო კაცთმოძულე ვაიქარტველის ხელით. დედის თვალწინ და მერე თავად უფლის სასუფეველში თითქმის გადასულს, საოცარი რამე უნდა ეტვირთა: სიკვდილის მოხვედელი დედის სიცოცხლე უნდა შეევედრებინა მკვლელისთვის. „არ მოკლათ დედა! ი, საკვირველებავ! ეს ხომ დედობის და დედის დასჯაა! ეს ხომ სიკეთისა და სათნოების დასჯაა!

მაგრამ... ამალღებულა სიკვდილზე და უბედურებაზე გოჩა ჯიქიას სათაყვანებელი დედა — ყველა ქეშმარტი ქართულის დედა! — ვაი იმას, ვინც გოჩა

ღვთისგან რჩეულთა სიკვდილში ღვთის ხელი არ ურევია, მას უთუოდ ეშმა განაგებს, რათა კიდევ ერთხელ აწვიმოს ბორბლები და კიდევ ერთხელ დასწყვიტოს გული სიკეთის ანგელოზს... მაგრამ სიცოცხლიდან წასვლა სიცოცხლის დამარცხებას არ ნიშნავს ზოგჯერ, პირიქით, სიკვდილზე ამალღება იგი და დათრგუნვა სატანისეული ზრახვისა...

და აქ, ამ დარბაზშიც მკაცრ სითეთრეს — სიკვდილის ცივ განცდას სიმბოლურად გადახლართვია სუროს ფოთლები — სიცოცხლის ფერში, მარადისო-

## „ჩვენ ვიფრანტო უფრთაბოდ, ჩვენ ვიფრანტო მცნებართ“...

ბის ფერში. გადასულა მოყვასის ხელით ჩაწიხლულთ სული ღვთისგან რჩეულისა!

ვაი, რომ ამასიც მკაცრი რეალობა ჩვენი მოუწესრიგებელი და მუხთალი ცხოვრებისა — „ცუდას რად უნდა მტერობა“... მაინც როდის მომხდარა კარგი უმტროდ ყოფილიყო ჩვენში არ დაგვეკორტნა, არ გავვეძიებინა დიდებდან... აქი ვიშკით კიდევ სიძულვილის ხნულში ეშმას მიერ დათესილი ბოროტების ნაყოფს!..

მაინც როგორ შეარჩია ათას ვინმეში ნებისმიერი ზუგდიდელის ფიჭვივარი განადგურების უნიონ უწინაშის მწვერვალზე ასულმა ვანდალმა ღვთისგან რჩეული გოჩა ჯიქია? უდავოა, ამასიც ტრაგიკული ხედრია ანგელოზის სათაყვანებელი პიროვნებისა და იგი ბოროტების კიდევ ერთი წუთიერი გამარჯვებაა.

რა შესანიშნავად განაცხადა აქ, ამ იღუმალ დარბაზში ქალბატონმა (მაია კალანდია): „მე მეცოდება არა ჩვენი თავი, არამედ ისინი, რომლებიც გოჩას ნაირ ადამიანებს კლავენ“. ქეშმარიტად! საბრალო ილიას მკვლელობა და არა თავად ილია ერთი წელი გასულა იმ საშინელი დღიდან! დღეს ოცდაოთხი თებერვალია — გოჩას დაბადების დღე, ხვალ კი, ოცდახუთში, კიდევ ერთხელ გაიწვილებს ზუგდიდელთა მეხსიერებაში ერთი წლის უკან გასროლილი ტყვია — გოჩა ჯიქიას ფიჭვივარი დასასრული!

შეგვიწოდოს უსამართლობას შეწირულთა სპეტაკმა სულელებქ, თუ ჩვენ ცოტა მეტს ვსაუბრობთ გოჩაზე. შეგვიწოდოს, რამეთუ ყველა მათგანი სთანაბრად ძვირფასია ჩვენთვის და თანაბრად საფიცარი.

მხოლოდ ესაა, სხვა ხედერი არგუნა ბედმა გოჩას — იგი დედის თვალწინ უნდა მომკვ-

ჯიქიას მკვლეელი გაზარდა! როგორც ქალბატონმა თამარმა განაცხადა, საცოდავია მკვლელის დედა!

ორად გაყოფილი ერი ვერა და ვერ გაეცა საშინელ ხედრს: გაღმა მდგომნი გაღმა მყოფთ უნებუნ სათნოებს, გამოღმა მყოფნი — გაღმელებისგან დაღუპულთ. ნამდვილი მკვლელებიც არიან და ამ უდიდესი ცოდვის დამტრიალებლებიც და ასე, ნელა... ნელა ცხვება ობლის კვერთხი... გარდუვალა ღვთის სასჯელი...!

ბევრმა იცის, რომ ზუგდიდში არსებობს საქველმოქმედო საზოგადოება „ხსოვნა“ (თავმჯდომარე ელგუჯა ბერუღავა). ბევრი კარგი საქმეები უკეთებიათ საზოგადოების წევრებს. სწორედ მათი ერთსულოვანი გარჯით ჩატარდა გოჩა ჯიქიას ხსოვნისა და შემოქმედებითი თაყვანისცემის აღმნიშვნელი საღამოც.

არ შემიძლია არ დავასახელო ისინი, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა ზუგდიდელთა წინაშე წარმოჩენილიყო გოჩა ჯიქია, როგორც დიდად ნიჭიერი არქიტექტორი და პოეტი...

მადონა მაქაქარია, გენრიეტა ქითანავა, მალხაზ ქითანავა, მადლენა დამენა, ნინო აკობია, გოჩა ქორია, მალხაზ ლურჯიაძე, ნათია გეთია, მზიური კვარაცხელია, მალხაზ ლურჯიაძე... მადლობა მათ.

რამდენი რამ გაუკეთებია გოჩას, (როგორც არქიტექტორს! რამდენი შეუქმნია, როგორც პოეტს!

ძნელია იცხოვრო ისე, ჩაქრე და სხვას გაუნათო... ასე იცხოვრა გოჩამ:

„მე თვითონ მინდა, ვანათებდე და არ მსურს ვჩანდე სხვა მნათის უქუზე“... არსებობს წინათგმრება, იგი აღედგება და არ მოასვენებს აღამიანს:

და კობა ბუკიას.

ამალღებელი იყო გოჩას დის თამილასა და დისშვილის თამარიკოს მიერ წაკითხული ლექსები. გულდამწვარი დედის თამარ შერაზადაშვილის გამოსვლა — დასტური იმისა, რომ არ შეიძლება დამარცხდეს ერი, რომელსაც ქალბატონი თამარის მსგავსი დედები ჰყავთ.

დარბაზში გლოვის ზარად გაიგმინა კიდევ ერთმა დიდმა ტკივილმა — წაკითხულ იქნა უსამართლობასთან ბრძოლაში დაღუპული ასევე ნიჭიერი არქიტექტორისა და მწერლის მამუკა ცხადიას დედის, ქალბატონ ლუიზა ცხადიას წერილი. საღამოს ესწრებოდა ქალბატონი ლუიზა.

გოჩასადმი გულისტკივილი გამოხატეს მწერალმა ანზორ გვარამიამ. პოეტმა რენე კალანდია, განათლების განყოფილების გამგემ ლუარა კვიციანიამ, კანონიერებისათვის მებრძოლი გვარდიის პოლკოვნიკმა მამუკა ხუბუაძემ, დოლო შეროზიამ, სვეტა მარგოშვიამ, ნანა ფიფიამ, კულტურის განყოფილების გამგემ მია კალანდიამ, ზურაბ ცხონიამ, ლაშვირა ფირცხალავამ.

აქ, დარბაზში ბრძანდებოდა ერთი ადამიანი, რომლის სულის ძაფები გოჩას ოცნების ნერვებს გადახლართვია, რომელსაც გოჩას სამშობლო საკუთარ სამშობლოდ ქცევია, რომლისთვისაც გოჩას სამშობლოს თავისუფლება საკუთარი სამშობლოს თავისუფლებად გაცხადებულა, მეუღლე სვეტლანა ჯიქია.

და ტიროდნენ, ტიროდნენ სათნოები და ისინიც თითქოს შერთს ვევედრებოდნენ.

ღმერთო! აქმარე მსხვერპლი ჩქს ქვეყანას! არგუნე მის რწმუნადათრგუნულ და ნებადათრგუნულ ერს გამარჯვება, რათა გოჩას დედამ ჩასძახოს შვილის საფლავს: თავისუფალია შენი ქვეყანა!

**ლაშვირა ფირცხალავა.**

### გამოსათხოვარი

#### რაფიელ ცანავა

გარდაიცვალა რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, პერსონალური პენსიონერი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე რაფიელ დიმიტრის ძე ცანავა.

დაიბადა 1907 წელს. დაამთავრა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი. შრომით მოღვაწეობას იწყებს ენგურ-

ქალაქკომბინატში. შემდგომ წლებში მუშაობდა: ტყვარჩელის სამშენებლო სამმართველოს უფროსად, „ტყველქვაწახშირის“ ტრესტის მმართველის მოადგილედ, ქუთაისის „საქტექშენის“ უფროსად.

სიცოცხლის ბოლო წლებში მოღვაწეობს ქალაქ ზუგდიდში.

მას განსაუკთრებელი წვლილი აქვს ზუგდიდის წყალსადენისა და სატროლიზბუსო საკონტაქტო საშის გაყვანის საქმეში.

წყვიდა ჩვენგან დიდად განათლებული, ერთდირებული პიროვნება, საუკეთესო მოქალაქე და ოჯახის მამა, რომლის ნათელი ხსოვნა დიდხანს იცოცხლებს ახლობლების, მეგობრების, ახმანავების გულში. **მეგობრები**